ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

30 იანვარი
სუთშაბათი
2025 წელი
№4 (9370)
ფასი 40 თეთრი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** ვიზიტი წარმატებით დამთავრდა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

მთავრობის მეთაურს აბუ-დაბის საერთაშორისო აეროპორტში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრი **აპმედ ალ საიე** დახვდა.

ვიზიტის ფარგლებში მთავრობის მეთაურმა შეხვედრა გამართა არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტთან, **შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანთან**, ასევე არაბთა გაერთიანებული საამიროების ტოლერანტობის მინისტრთან, **შეიხ ნაჰიან ბინ მუბარაქ ალ ნაჰიანთან**.

ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ერთ-ერთ უმსხვილეს დეველოპერულ კომპანია EMAAR-თან, რომლის ფარგლებში საქართველოში მრავალმილიარდიანი ინვესტიცია განხორციელდება.

ამასთან, შეხვედრა გაიმართა აბუ-დაბის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიასთან და მის ლოგისტიკურ მიმართულებასთან, აბუ-დაბი პორტის ჯგუფთან, რომელიც აქტიურად არის ჩართული შუა დერეფნის განვითარებაში და თბილისთან ახორციელებს მშრალი პორტის პროექტს, რომელიც 2025 წელს დასრულდება. იგეგმება კომპანიასთან თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება სტრატეგიულ, ლოჯისტიკურ და სატრანსპორტო პროექტებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი არაბთა გაერთიანებულ საამიროებს დელეგაციასთან ერთად ეწვია, რომლის შემადგენლობაში პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **ლევან დავითაშვილი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი**, თბილისის მერი **კახა კალაძე**, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე** და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი **ლევან ჟორჟოლიანი**.

საღეჭისო თემაზე

ევროპაში უკულტურო ადამიანებს არ მიგვიღებენ

პატივცემულო რედაქციავ!

ჩემი ოჯახი გაზეთ „ბორჯომის“ აქტიური მკითხველია. ათეული წლების მანძილზე გამოწერილი გვაქვს ჩვენი რაიონის ერთადერთი მაცნე და მადლობელი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ზრუნავს ამ ისტორიული გაზეთის გადარჩენისათვის. მიმაჩნია, რომ ჩვენი გაზეთი ბორჯომის ხეობისა და მისი დაბა-სოფლებით ისტორიის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ დიდი ინტერესით ვკითხულობ მოცულობით პატარა, მაგრამ საინტერესო წერილებს, რომელიც მის ფურცლებზე ქვეყნდება. თქვენი გაზეთის საშუალებით ნამდვილად საქმის კურსში ვარ, თუ რა ხდება ჩვენი მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუმცა, გულწრფელად უნდა გითხრათ ისიც, რომ უკანასკნელ ხანს გაზეთში შემცირდა მწვავე, კრიტიკული წერილები. (მიმაჩნია, რომ ეს საახალწლო ზეიმების ბრალია). ახლა კი, მსურს, თქვენს მიერ არაერთხელ აღნიშნულ ქალაქის სანიტარულ წესრიგზე გავამახვილო ყურადღება.

ბორჯომი ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისუფთავით. სამწუხაროდ, დღეს ქალაქის ქუჩებში სიამაყით სიარული მიჭირს, რადგან მრცხვენია დანაგვიანებული ქუჩების ხილვა. ზოგიერთი კუთხე კი ნაგვის ბუდედაა გადაქცეული.

დავიწყებ იმით, რომ ადამიანს ქუჩაში თავისუფლად გავლის ეშინია, რადგან ხალხზე მეტი უპატრონო ძაღლი დარბის. ჩვენდა სამწუხაროდ, კურორტზე ჩამოსული დამსვენებლის უმეტესობა ჯოხითაა შეიარაღებული, რათა მოიგერიოს აბეზარი ძაღლები. ეს განსაკუთრებით მინწლების პარკისკენ მივალ გზაზე შეინიშნება.

თქვენს გაზეთში არაერთხელ დაიწერა ქალაქის ქუჩებში მოხეტიალე ცხენების შესახებაც, რომლებიც უპატრონოდ დაეხეტებიან და სერიოზულად აბინძურებენ ქალაქის ქუჩებს.

სამწუხაროდ, ქალაქის ქუჩები სანახევროდ იგვება, ქუჩები გადავსებულია ცხენებისა და ძაღლების ფეკალიებით.

ადრეულ წლებში მეეზოვეებს ხელმძღვანელობდნენ ეგრეთ წოდებული ბრიგადირები. ახლა ეს ადამიანები აღარ ჩანან და არავის აწუხებს მეეზოვეთა შესრულებული სამუშაობის ხარისხი. ამის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი ცენტრალური ქუჩა ორ-სამ დღეში ერთხელ იგვება. ამას ემატება ზოგიერთი ბორჯომელის უპასუხისმგებლობა მშობლიური ქალაქისადმი, რომლებიც საოჯახო თუ სამშენებლო ნაგავს პირდაპირ ქუჩაში ყრის, თუმცა ნაგვის დიდი და მცირე ზომის კონტეინერები საკმაოდ არის ქუჩებში. სიგარეტის ნამწვზე და მზესუმზირის ნაფცქვენებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს. საყვედური ეთქმით ტურისტების მომლოდინე ყველგანმავალი მარკის მანქანების მძღოლებს, რომლებიც უადგილო ადგილზე აყენებენ მანქანებს და სერიოზულად აბინძურებენ გარემოს. ხშირად მანქანებსაც იქვე არემონტებენ.

ზემოთ თქმული ნაკლოვანებები იმის ბრალია, რომ ჩვენ არ გვიყვარს მშობლიური ქალაქი. ჩვენივე უხიაგი ქცევით ვკარგავთ დამსვენებელსაც.

დასაფიქრებელია ისიც, რომ ყველას უნდა ევროპაში წასვლა, ვიბრძვით ევროპარლამენტში შესასვლელად, გვინდა ევროპული წესრიგი, ზოგს სწავლა, ზოგს მუშაობა, მაგრამ მათი უკულტურობა, თუ ყოველდღიური ქცევა, ვერ ტოვებს სასურველ შთაბეჭდილებას. თუ ევროპული ცხოვრება გვინდა, მაშინ ევროპული წესით უნდა ვიცხოვროთ და არა პირველყოფილი ადამიანებივით.

გთხოვთ, ჩემი წერილი გამოაქვეყნოთ და ვისაც ევალება უმარტივესი საკითხის, ქალაქში სანიტარული წესრიგის დაცვა, კიდეც იზრუნოს მისთვის.

პატივისცემით **ნოდარ ნოზაძე**,
პენსიონერი

სამუშაო შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან

სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო რწმუნებულის **ბესიკ ამირანაშვილის** ხელმძღვანელობით, სამხარეო ადმინისტრაციაში, სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებისა და საკრებულოს თავმჯდომარეები.

შეხვედრაზე შეაჯამეს გასული, 2024 წელი, ასევე განიხილის 2025 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და ადგილობრივ მოსახლეობასთან ამ პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. ყურადღება გამახვილდა რეგიონში არსებულ გამოწვევებსა და მათ გადაჭრის გზებზე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - **დავით ვარდიაშვილი** და **შოთა როსტიაშვილი,** რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი - **მარინა გაჩეჩილაძე** და თვითმმართველობებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **გოჩა ბერიძე** ესწრებოდნენ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 იანვარს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ДАВИТ ЗААЛИШВИЛИ უძღვებოდა.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №21 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შეიტანეს „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 მარტის №4 დადგენილებაში.

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ДАВИТ ЗААЛИШВИЛИС ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე მოისმინეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარის, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ЭЛЗА ХУЭХУНИДЗИСА და МАКА МАНДЖАПИДЗИС ანგარიშები 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

წვევამდელებო, სამშობლოსათვის სწორდით!

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევა 2025 წლის იანვრიდან 2025 წლის 1 დეკემბრამდე განხორციელდება.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარებიან 18-დან 27 წლამდე ასაკის პირები, რომლებსაც კანონმდებლობით არ აქვთ წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან გაწვევისაგან გათავისუფლების საფუძველი.

საქართველოს თავდაცვის კოდექსის თანახმად, 2025 წლიდან წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გასაწვევად წვევამდელთა შერჩევა განხორციელდება ყოველწლიური შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის გავლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში.

წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ვადები და ანაზღაურება:

საბრძოლო ქვედანაყოფში სამსახურისთვის - 6 თვის ვადით - 765 ლარის ოდენობით.

საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფში სამსახურისთვის 8 თვის ვადით - 635 ლარის ოდენობით;

უმცროს სამეთაურო თანამდებობაზე და წინასწარ განსაზღვრული სპეციალობით სამსახურისთვის - 11 თვის ვადით სერჟანტებისათვის - 1275 ლარის, ხოლო ოფიცრებისთვის -1530 ლარის ოდენობით. 11-თვიანი სამსახურის დასრულების შემდეგ, აღნიშნული პირები ჩაირიცხებიან რეზერვში.

წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით გაწვეულ პირს წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში დაწესებული ანაზღაურება მიეცემა 30 პროცენტით მეტი ოდენობით.

27 იანვარს ნინოობა აღინიშნა

საქართველოში ქრისტიანობის ნათლის დამკვიდრება წმ. ნინოს სახელს უკავშირდება.

როგორც სარგის კაკაბაძე წერს, ქართველების უმეტესობამ არ იცოდა წმინდა ნინოს ნამდვილი სახელი - თეოგნისტე, რომელიც მოხსენიებულია ერთ უძველეს ეთიოპურ წყაროში და ბერძნული საზოგადო სახელი ნონნა (ნიშნავს მონაზონს) საკუთარ სახელად მიიჩნიეს.

წმინდა ნინო დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანთა ოჯახში. ის იერუსალიმის პატრიარქის ნათესავი იყო. მისი დედა სოსანა და მამა ზაბულონი, რომელიც სამხედრო პირი იყო, მონაზვნობის გზას დაადგნენ და იერუსალიმში გადასახლდნენ. 12 წლის ნინო აღსაზრდელად მიაბარეს მოხუც ქრისტიან ქალს სარა ნიაფორს, რომელიც ხშირად უამბობდა ნინოს მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ამბავს. მისგანვე გაიგო ნინომ, თუ როგორ მოხვდა წარმართულ საქართველოში ქრისტეს კვართი.

წმინდა ნინო დღე-დაღამ ღვთისმშობლის ხატის წინაშე ლოცულობდა. ერთ დღეს ლოცვისას გამოეცხადა ყოვლისშემძლე ქალწული და უთხრა, რომ მის წილხვედრ ქვეყანაში, საქართველოში, წასულიყო საქადაგებლად. ნინომ ჰკითხა, უსწავლელი ქალწული როგორ შეძლებდა ამას. დედოფალმა ნინოს ვაზის ჯვარი მიაწოდა და უთხრა, რომ ის ამით დაძლევდა ყველა მზაკვრობას. ხილვა რომ დასრულდა, ნინოს ხელში სასნაულებრივი ვაზის ჯვარი ეჭირა.

„წმინდა ნინოს ცხოვრების" მცხეთური რედაქციის მიხედვით, ჯვარი წმინდანს ღვთისმშობელმა იერუსალიმში გადასცა.

არსებობს სხვა რედაქციაც, რომელიც ვაზის რქის რტოთაგან შეკრულ ჯვარს თვითონ წმ. ნინოს მიაწერს. წმინდანს იგი თავისი თმებით მცხეთაში მოსვლის შემდეგ, მაყვლოვანში დამკვიდრებისას შეუკრავს. ჯვრის ვაზისაგან შექმნა მოასწავებდა ვაზის გასიმბოლოებას ქრისტიანული შინაარსით. ვაზი იყო სიცოცხლის ხე. ქართული ჩუქურთმა ვაზის ზრდას ასახავდა, ამგვარად კი ვაზი ხდებოდა სიმბოლო ღვთისა და ღვთისმშობლისა.

,,სხვების ჯვარი: ან ქვისაა, ან რკინის, ან უბრალო ხის. ყოველთვის მშრალი და წუთხე. აქ კი: **ჯვარი-ვაზის. ვაზი ხომ სახეა მიწის-ნიადაგის-სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი ნამების და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ... (გრ. რობაქიძე)**

მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ ნინომ ვაზის ჯვარი მაყვლოვანში აღმართა. მაყვლოვანში ნინოს ყოფნა სიმბოლურად ეხმიანება საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას (ღვთისმშობლის წინასახე მოსე წინასწარმეტყველმა იხილა მაყვალში, რომელიც ეხთო და არ იწვოდა).

ნინოს ჯვარი მემკვიდრეობით მეფე მირიანს ერგო. 541 წლამდე იგი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში იყო. ამ ჯვრით მეფე მირიანმა სიკვდილის წინ მეფედ თავისი შვილი ბაქარი აკურთხა.

ჯვარი ქვეყნიდან ბევრჯერ ყოფილა გატანილი და გადატეხილა მიმაგრებულ ადგილას, რის გამოც ჯვრის ფრთები დაშვებულია.

ეს ჯვარი V საუკუნეში საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციის - რანის მმართველის მეუღლესთან, წმინდა შუშანიკთან აღმოჩნდა. მან სიკვდილის წინ ჯვარი თავის ძოძღვარს, ანდრიას საქართველოში წამოსაღებად გადასცა, მაგრამ ის იძულებული გახდა ჯვრიანად სომხეთში დაბრუნებულიყო.

დავით აღმაშენებელმა ანისის გათავისუფლების შემდეგ ნინოს ჯვარი მცხეთას დაუბრუნა.

XII-XIII საუკუნეებში მტრების შემოსევის დროს ჯვარი მთებში გაიტანეს, ყაზბეგის წმინდა სამების ეკლესიაში, შემდეგ კი ახანურის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. 1749 წელს თბილისის მიტროპოლიტმა, რომანოზმა, ჯვარი რუსეთში წაიღო და თავის დას (ვახტანგ VI-ის ძის - ბაქარის მეუღლეს) მიართვა. მოსკოვში. **1801 წელს ვახტანგ VI-ის შთამომავალს, გიორგის, ჯვარი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრესთვის მიურთმევია; მას კი რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ საქართველოსთვის დაუბრუნებია.**

დღეს ნინოს ჯვარი სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული. ის სპეციალურად მისთვის დამზადებულ ვერცხლის ჭედურ ჩასასვენებელშია მოთავსებული, რომელიც მეფე ვახტანგ III-მ დაამზადებინა. ჯვარი კანკელის გასწვრივ, ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ბურჯზე არსებულ ნიშაშია დაბრძანებული.

წმინდა ნინოს ჯვრის ჩასასვენებელი მართკუთხაა, შუაში ჯვრისსახა ჩაღრმავებით. ჩასასვენებლის ზედაპირზე წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლია გამოსახული. ექვსი სცენაა სამ-სამი ჯვრის ორივე მხარეს. ისინი მარცხნიდან მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ იკითხება. პირველი - წმინდა ნინოსადმი ღვთისმშობლის გამოცხადებაა, მეორე - წმინდა ნინოს სასწაულებრივი ხსნა. შემდგომი სურათი ფარავნის ტბასთან მიძინებული წმინდა ნინოსადმი ,,ნათლისა კაცის" გამოცხადებას და მისთვის ნიგნის გადაცემას მოგვითხრობს. მეოთხე - არმაზის დღესასწაულზე წმინდა ნინოს მიერ კერპების დამხობის ამბავია. მეხუთე არის წმინდა ნანა დედოფლის და მეექვსე - უფლისწულ რევის განკურნება.

ჯვარს თავისი საბრძანებლიდან წელიწადში ორჯერ, ყოველ ნინოობას გამოაბრძანებენ - 27 იანვარს და 1 ივნისს.

მოიძია
ნანა კეკლიშვილმა

საქართველოს პრობლემები არ ელევა

კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების...

ისედაც სახელგატეხილი ქართული პოლიტიკა კიდევ უფრო მაშინ გაირყვნა და გათახსირდა, როცა ჰალსტუხიანმა ხვლიკებმა, ულვაშიანმა ქათმებმა და ბაკენბარდებიანმა ბატებმა დაიკავეს ადგილები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში. ეს მანკიერი პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა უკანასკნელ პერიოდში, რადგან საქართველოს პარლამენტი ათასი ჯურის თაღლითებისა და მედროვეების თავშესაფარი გახდა.

იმაზე მეტი სიმდაბლე რა უნდა იყოს, როცა პოლიტიკური პარტიის ლიდერი ახალგაზრდების გულწრფელ პროტესტს საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენებს. განა დასაგმობი არაა გიორგი ვაშაძის ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციები, როცა ახალგაზრდებს მოუწოდებს, **შშობლებს პირში მიახალეთ - თქვენი შვილობა გვრცხვენიაო.**

ნუთუ რადიკალურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ხელისუფლებაში მოსვლისათვის სხვა გზა ვერ მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ 10-12 წლის მოზარდები, უფროსკლასელები და სტუდენტები ფარად აიფაროონ, მოამარაგეს მოლოტოვის კოქტეილებით, ქვებით, რკინის ნაჭრებით, შურდულებით თუ პიროტექნიკით, (ეს ყველაფერი ბლომად აღმოაჩინა პოლიციამ რადიკალური პარტიების ოფისებსა და



ჩვენ დროში სახლების ზომები გაიზარდა, მაგრამ ოჯახები დაპატარავდა...
მედიცინა განვითარდა, მაგრამ ჯანმრთელობა გაუარესდა...
ჩვენ მთვარეზე გავფრინდით, მაგრამ მეზობლები დაგვავიწყდა...
ქონება მოგვემატა, მაგრამ სიმშვიდე სადღაც გაქრა...
გონება მოგვემატა, მაგრამ სიბრძნე დავკარგეთ...
ნაცნობების რიცხვი გაიზარდა, მაგრამ ნდობა და ერთგულება შემცირდა...
ადრე სახლები თიხის იყო, მაგრამ ადამიანების გულები ოქროსი...
ახლა სახლები ოქროსია, ადამიანების გულები ქვის...

ილია მეორე.

საწყობებში), ქალბატონი **ლაიკა ხოშტარია** თავმომწონედ აცხადებდა - სპეციალურად შევიძინეო, მერედა ვისთვის, ვის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიძინა მოსკოვში უმაღლესდამთავრებულმა ქალბატონმა, თავისი მოძმის, თავისი ქვეყნის წინააღმდეგ საბრძოლველად?! ვაი, ბედკრულო საქართველოვ!

სულ მიკვირს, ნუთუ ასეთი მენტალიტეტის ადამიანებმა, მით უფრო, პარტიების ლიდერებმა არ უნდა იცოდნენ, რომ ღირსეული ქართველი ამომრჩეველი არასოდეს გამოუცხადებს ნდობას არც ასეთ პარტიას და არც მის ლიდერებს, რომლებიც შვილებს მოუწოდებენ პოლიციელების ცოცხლად დაწვისაკენ, და როცა, ხუთი წუთის დაგვიანებისათვის ისევ მათვე საშველად დაჭირდებათ პოლიცია, მაშინ ვაი-ვიშ-ს ტეხავენ.

რაოდენ საწყენია, როცა ე.წ. ,,მშვიდობიანი აქციების" შემდეგ ერთ დროს ქართველთა უპირველესი გამზირი და მისი შემოგარენი ,,ბრძოლის ველს" დაამსგავსეს, რაც ხელში მოხვდათ ბარიკადებად აღმართეს, მოსახლეობას ეზოებში შეუცვივდნენ და საგულდაგულოდ დაარბიეს, დალეწეს პროსპექტზე და მის მიმდებარედ მარკეტების თუ კაფე-ბარების ვიტრინები...

მაინტერესებს, როგორ განმარტავენ რადიკალური ოპოზიციის პარტიები ტერმინს **„მშვიდობიანი აქციები",** როგორი უნდა იყოს **„მშვიდობიანი აქცია"?** საზოგადოებას ისიც აინტერესებს, ვინ შეიმუშავა სპეციალური პლაკატი, რომელიც ახალგაზრდებს მოუწოდებს, - **ჩაუფურთხე სადილში „ქოცებს" - კაფეში, რესტორანში და ა.შ.** ეს კი ცილდება ყველაზე ზნედაცემული ადამიანის მოქმედებას...

მშვიდობიანი აქციის მიდინარებიას, პარლამენტის პირველ სართულზე, 40 ოთახზე მეტი დაინგრა, დაიმტვრა ავეჯი, რა თანხა დაუჯდება სახელმწიფოს დანგრეულ-გაპარტახებული ქონების აღდგენა? რაც მის აღდგენაზე ათასები დაიხარჯება, ის რომ სოციალურად დაუცველებს და მოხუც პენსიონერებს მოხმარებოდა, ალბათ, უკეთესი იქნებოდა. **საინტერესოა, ოპოზიციის ლიდერებმა თუ დაიანგარიშეს, რა ზარალი მიადგა სახელმწიფოს?!**

ძალიან გამიკვირდა, როცა რუსთაველზე მეტად თვალშისაცემ ტრანსპარანტს მოვკარი თვალი, რომელიც დედებს მიჰქონდათ - **„ხელი არ ახლო, ჩემი შვილია!"**. ეს მოწოდება მეტად საგულისხმოა და გულში ჩამწვდომი. უპრიანი იქნებოდა, ტრანსპარანტი გადაეკეთებინათ და დაეწერათ: **„ხელი მოკიდე შენ შვილს"** და არა ჭიჭე ვაშაძის გამონათქვამით ეხელმძღვანელათ: **„მრცხვენია, რომ შენი შვილი ვარ"**. რამ ათქმევინა ბატონ პოლიტიკოსს ასეთი მკრეხელური სიტყვები, **ეს არის შვილის ოჯახში აღზრდა? განა ამ გზით და მოწოდებებით გავზრდით საქართველოს მომავალს?!**

ძნელი დასაჯერებელია, რადიკალურ ოპოზიციას სკოლაში მაინც არ ქონდეს წაკითხული ალექსანდრე ყაზბეგის ,,ხევისბერი გოჩა". იმის ნაცვლად, რომ ახალგაზდებს ზრდიდნენ დიდ მამულიშვილებად და გვარის ერთგულ გამგრძელებლებად, ბაკურიანში კი არ უნდა აგზავნიდნენ ტრენინგებზე, თუ როგორ დაანგრიონ სიმწრით აშენებული ქვეყანა. ეს არის თქვენი სახე და მომავალი - პატივცემულო ოპოზიციონერებო!

დიდი ხნის წინათ წავიკითხე ლექსი და მინდა შეგახსენოთ. შვილმა რომ მამამისი გოდრით აიყვანა მაღალ მთაზე და იქიდან გადმოგდება დაუპირა, **მამამ უთხრა: - გოდორს გაუფრთხილდი, კარგად შეინახე, შენ შვილებს გამოადგებაო. არც ქართული მწარედ ნათქვამი ანდაზა დაივიწყოთ: „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო", „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდების".** კიდევ სხვა ანდაზები გაიხსენეთ, ან გადაიკითხეთ, თქვენთვის საჭირო დასკვნებს გამოიტანთ.

მართლაც, ვაი, შენ, ბედკრულო საქართველოვ, ვის ხელში ხარ?

საქართველოს პარლამენტის სხდომებს სისტემატურად ვადევნებთ თვალს, სამწუხაროდ, არ გვახსენდება იმ სხდომებზე ოპოზიციური პარტიების დეპუტატების გამოსვლებში რაიმე დადებითი, რაციონალური წინადადება მოგვესმინოს. გვაინტერესებს, პარლამენტის რომელი კანონის მიღებაში მიიღეს მონაწილეობა ოპოზიციური პარტიების დეპუტატებმა, რა წვლილი შეიტანეს ევროპარლამენტის წევრად მიღებასთან დაკავშირებით?

რა მწარედ მახსენდება, ევროპარლამენტში წარდგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში ხელის მოწერა იყო საჭირო და ოპოზიციონერმა დეპუტატებმა უარი განუცხადეს ქალბატონ **მაკა ბოჭორიშვილს**. დღეს ისევ ის ადამიანები უმხედრდებიან ხელისუფლებას, რატომ შეწყვიტა ევროპარლამენტთან დიალოგიო. ამაზე მეტი მკრეხელობა და საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შეყრა შეუძლებელია.

ამ ორი-სამი წლის წინათ, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა **სალომე ზურაბიშვილმა**, საქართველოს ყველა კუთხიდან ჟურნალისტებს უხმო ორბელიანების სასახლეში, იმ თავყრილობაზე მეც მომიწია ყოფნამ. გულით გავიხარე, როცა ქალბატონმა სალომემ ჟურნალისტების წინაშე ხაზგასმით გააჟღერა თავისი აზრი: - **თქვენი დახმარებაც მჭირდება და მინდა დავიწყო მუშაობა სახელისუფლებო პარტიის და ოპოზიციის შერიგებისა და დაახლოებისთვისო.**

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა მტკვრის კალაპოტში, მაგრამ თუ როგორ დამთავრდა ქალბატონი პრეზიდენტის მცდელობა, პოზიციასა და ოპოზიციის შერიგება - კარგად დავინახეთ. დღეს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი და რადიკალური ოპოზიცია ერთნაირი დღის წესრიგით აგრძელებენ მოქმედებას, რადგან 29 დეკემბრამდე ვერ მოხერხდა ხელისუფლების ჩამოშლა და ოპოზიციამ ვერ აისრულა ნატვრა, ახლა 20 იანვრამდე ფიქრობდნენ რევოლუციით დაემხოთ არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული ,,ქართული ოცნება". არც ეს ნატვრა აუსრულდათ...

ოპოზიციური პარტიები კატეგორიულად აცხადებენ, **არჩევნები მოგვპარეს, ვითხოვთ ხელახალი არჩევნების ჩატარებასო**, პარლამენტში არ შევალთო, თუმცა არცერთი მამხილებელი ფაქტი არჩევნების გაყალბების თაობაზე არც გენპროკურატურაში და არც სასამართლოში არ წარუდგენიათ. სამ თვეზე მეტი გავიდა, არჩევნებიდან დღემდე, პარლამენტის სხდომებს ოთხი ოპოზიციური პარტიიდან არცერთი არ დასწრებია. ამას წინათ შევიტყვეთ, თურმე ოთხიდან სამმა ოპოზიციურმა პარტიამ გადაწყვიტა პარლამენტში შესვლა. **როგორ ფიქრობთ, რისთვის შედიან პარლამენტში?** სამუშაოდ, თუ სოლიდური ხელფასების (თვეში 10 ათას ლარამდე) ასაღებად?

მეტი არა, ჩემი და თქვენი მტრის გახარება, მათ პარლამენტში არ იმუშაონ. მათი მიზანი, ისევ და ისევ დესტრუქციული გამოხტომები იქნება ან „შატალოზე" ივლიან.

ისევ უფლის წყალობის იმედად უნდა ვიყოთ, იქნებ გვეშველოს და 20 იანვრიდან ამერიკის პრეზიდენტმა, დონალ ტრამპმა თავის ინაუგურაციაზე გაჟღერებული პროგრამა თუ შეასრულა, ამერიკას, მსოფლიოს და საქართველოსაც ეშველება. ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანად განვითარების პრობლემები.

ღმერთმა ქნას, ეს ოცნება მაინც აგვისრულდეს!

P.S. **რუსთაველის პროსპექტზე „მშვიდობიანი აქციები" უკვე თვეზე მეტია მიმდინარეობს. ქვებსა და მოლოტოვის კოქტეილებს აღარ ისვრიან. აქციის მონაწილეები პარლამენტის წინ დასეირნობენ, არც მომხსენებლები და არც სიტყვაში გამომსვლელები არ ჩანან. დღის წესრიგში კვლავ ხელისუფლების გადადგომა და ახალი ძალის მოსვლას ითხოვენ, მაგრამ ვინ არის ეს ახალი ძალა, რომელიც გაუძღვება ჩვენს ბედკრულ ქვეყანას, კონკრეტულად, არავინ ამბობს. დაველოდოთ ოკეანის გაღმა ამერიკელთა და მსოფლიოს დიდ იმედს - დონალდ ტრამპის მიერ განხორციელებულ ინაუგურაციაზე და მომდევნო დღეებში ტრამპის მიერ გაჟღერებულ პროექტებს. შემდეგ ყველაფერი გაირკვევა.**

ვალერიან ღომიძე.

ბაკურიანი ევროპის ოლიმპიადისათვის მზადაა

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიებაა. ცოტა დრო რჩება, რომელსაც 33 წლიანი ტრადიცია აქვს. ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი პირველად 1991 წელს ბრიუსელში ჩატარდა. ორი წლის შემდეგ ზაფხულის სპორტის სახეობებს დაემატა ზამთრის სპორტის სახეობები, ხოლო პირველ ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალს იტალიის ქალაქმა აოსტამ უმასპინძლა.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს (EYOF ბაკურიანი 2025). მასპინძლის სტატუსი საქართველომ ოფიციალურად 2020 წელს ევროპის ოლიმპიური კომიტეტების 49-ე გენერალური ასამბლეის დროს მიიღო. ფესტივალი 2025 წლის 9-16 თებერვალს ჩატარდება, გოგონათა ჰოკეის შეჯიბრები კი 6 თებერვლიდან დაიწყება. ჩემპიონატები სამ ლოკაციაზე - ბაკურიანში, ბათუმსა და თბილისში გაიმართება. თბილისსა და ბათუმში ჰოკეისა და ფიგურული სრიალის შეჯიბრებები გაიმართება. ფესტივალის ძირითადი მასპინძელი კი ბაკურიანია, სადაც შეჯიბრებები 5 სპორტულ დისციპლინაში გაიმართება.

სამთო თხილამურები, ბიატლონი, თხილამურებით რბოლა, ფრისტაილი და სნოუბორდი.

ბაკურიანი ოდითგანვე იყო საკონკურსო ადგილი, რადგან მრავალი წლის განმავლობაში აქ ოლიმპიური სპორტსმენები ზამთრის სპორტის სახეობებში ემზადებოდნენ. დღეს ბაკურიანი მსოფლიო დონის მთის კურორტია, რომელიც სრულყოფილ გარემოს სთავაზობს როგორც ზამთრის ოლიმპიურ სპორტსმენებს, ისე დამწყებ მოსრიალეებს. ბაკურიანში უკვე არსებობს 23 სასრიალო ტრასა. გარდა ამისა, ბაკურიანში არის არაერთი ინფრასტრუქტურულად მოწესრიგებული სასრიალო გზა და საკურორტო ზონა.

ფესტივალის დღეებში, ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი ევროპის 46 ქვეყნიდან 900-ზე მეტ ათლეტს და 700 ოფიციალურ წარმომადგენელს უმასპინძლებს. ფესტივალის ფარგლებში ასპარეზობა სპორტის 8 დისციპლინაში გაიმართება.

ოლიმპიური ფესტივალი ხელს უწყობს სპორტისა და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას, ოლიმპიური პრინციპების შესაბამისად, ფესტივალი ავითარებს მეგობრობის, სამართლიანი თამაშის და ტოლერანტობის სულისკვეთებას, ღონისძიება აერთიანებს 50 ევროპული ქვეყნის ახალგაზრდებს და ამით ხელს უწყობს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს. ფესტივალი წარმოადგენს დიდ შესაძლებლობას ასობით ახალგაზრდისთვის, რათა მათ მიიღონ გამოცდილება მასშტაბური ღონისძიების ორგანიზებაში, გამოიმუშაონ სამუშაო უნარები და შეხვდნენ სხვა ახალგაზრდებს ევროპული ქვეყნებიდან.

ბაკურიანი 2025-ის ვიზუალური იდენტობა ძველი ქართული ასომთავრული ანბანითა და ტრადიციული ქართული ორნამენტების სილამაზითაა შთაგონებული. ეს უნიკალური შერწყმა განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს ოლიმპიურ ფესტივალს. ჩვენი ორნამენტები, რომლებიც დინამიზმით არის შექმნილი, მოძრაობის არსს ასახავს და ოლიმპიურ სულს და ენერგიას გამოხატავს.

ფესტივალი ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობაა, სადაც მათ შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი ნიჭი და პოტენციალი. ბრენდის ფილოსოფია ემყარება თვითგამოხატვას, წინსვლას და ახალი შესაძლებლობების გაჩენას, რაც სპორტსმენების თავგადასავლებით სავსე გზას განასახიერებს. ტრადიციული ორნამენტების და ქართული ასო-ხაზების შერწყმით, ჩვენ ვწერთ ისტორიას, რომელიც თანამედროვეა და ამავდროულად მარადიული. ეს ვიზუალური კომუნიკაცია ჩვენს სულისკვეთებას ნათელს და მარტივად გასაგებს ხდის ყველასთვის - სპორტსმენებისთვის, გულშემატკივრისთვის და ფართო აუდიტორიისთვის.

,,ბაკურიანი-2025“-ის ოფიციალური თილისმაა ფოცხვერი გუნდა. სახელი „გუნდა“ შესანიშნავად გადმოსცემს დათოვლილი კავკასიონის შინაარსს და სილამაზეს. გუნდა, მშვენიერი კავკასიური ფოცხვერი, სწორედ ამ მთებში ცხოვრობს. მისი უნარი, მოხდენილად ისრიალოს თოვლში და გამჭოლი მზერა, იმ თვისებებს ასახავს, რომლებიც ახალგაზრდა ოლიმპიელებს ახასიათებთ - ძალა, მიზანდასახულობა და სიზუსტე. ,,გუნდა“ აქ არის იმისთვის, რომ შთააგონოს და შეახსენოს მათ, რომ შეუძლიათ დაძლიონ გამოწვევები, თუმცა გუნდაში ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ეს. მისი სახელი ასოცირდება გუნდაობასთან - გუნდურ თამაშთან, რომელიც ხელს უწყობს ერთობასა და მეგობრობას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ახალგაზრდებს შორის. გუნდა ახალგაზრდობის და ერთიანობის სულისკვეთებას აერთიანებს. სპორტის სამყაროში საქმე მხოლოდ გამარჯვებასთან არ გვაქვს - მთავარია მოგზაურობა, თავგადასავლები და ძლიერი კავშირები. როგორც თოვლის ყველაზე წმინდა ნაწილაკებით შექმნილი ,,გუნდა“ იზრდება და ერწყმის ერთმანეთს, ასე იზრდება მეგობრობა და საერთო მიზნები. სპორტის სამყაროში ყველაზე მთავარი ასპარეზობის სიამოვნება - თავგადასავალი, რომელიც თანატოლებთან ერთად უნდა განიცადო.

მოამზადა რუსუდან სხირტლაძემ

საინტერესო ცნობები ბორჯომის ისტორიიდან

ბორჯომის ისტორიაში მართლაც მრავალი საინტერესო ამბავი მოხდა, რომელთაგან რამდენიმეს გამოვარჩევ.

1) წაღვერის, როგორც კურორტის შესახებ მეტად საინტერესო მოგონებები მოგვაწოდა სამედიცინო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის კათედრის ლექტორმა, ექიმმა **მარიამ კიკნაძე-აბაშიძემ,** რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მისი ოჯახის, წაღვერში მშენებლობების მომსწრე და მონაწილე იყო..

როგორც ირკვევა - მარიამის მამა, ვარდენ კიკნაძე ქველმოქმედი ყოფილა. იგი ნიკოლოზ რომანოვის დიდი მეგობარიც იყო. ბატონ ვარდენს და მის მეუღლეს გარდაცვლიათ ორი ახალდაბადებული შვილები. ამის შემდეგ ისინი უშვილონი დარჩენილან. ნიკოლოზ რომანოვმა მათ ბორჯომში გაჩენილი თავისი უკანონო შვილის გაზრდა ანდო.

ცნობილია, რომ დიდი მთავარი შეყვარებული იყო სასახლის დიასახლისზე, **ვარვარა რომანენკოზე,** რომლის ცოლად შერთვა მისი გლეხური ჩამომავლობის გამო ეკრძალებოდა... ჩანს, მარიამი ვარვარა რომანენკოს გაჩენილი იყო. **წაღვერში ყველამ იცოდა, რომ ნიკოლოზ რომანოვი მარიამ კიკნაძის ბიოლოგიური მამა იყო.** მეტიც, ასეთი მეორე გოგონა დიდ მთავარს სოფელ ლიბანშიც გაუშვილებია.

ნიკოლოზ რომანოვი დიდ ყურადღებას აქცევდა და ამეგობრებდა ორივე გოგონას ერთმანეთთან. ზაფხულობით, როდესაც ის ბორჯომში ჩამოდიოდა, გოგონები ზღვაზე და სხვა საინტერესო ადგილებშიც დაჰყავდა სასეირნოდ. რუსეთიდან სისტემატიურად უგზავნიდა ამანათებს, რომელშიც იყო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თბილი მოსასხამები, საახალწლო საჩუქრები.

ქალბატონი მარიამი იხსენებს, რომ 17-18 წლისა რომ გავხდით, ორივე დები ბათუმში წაგვიყვანეს. ეს მოგზაურობა იმით დამთავრდა, რომ ჩემი და რომელიღაც გემის კაპიტანს ამერიკაში გააყოლეს ცოლადო. დებს დიდი ხანი ჰქონიათ მიმოწერა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება კრძალავდა უცხოეთში მყოფ ნათესავებთან რაიმე ფორმით კავშირს და მათ ერთიმეორის კვალი დაეკარგათ.

მარიამ კიკნაძე-აბაშიძის შვილიშვილი, ნიკოლოზ (ნუკრი) აბაშიძე საქართველოს წარმატებული არქიტექტორია, ხოლო მისი და ქეთევანი - ხელოვნებათმცოდნე. და-ძმა ტრადიციებისა და წინაპართა დიდი პატივისმცემელნი არიან, ყავთ შესანიშნავი ოჯახები და დადასტურებულად იციან, რომ მათში რომანოვების სისხლიც ჩქეფს...

ვფიქრობ, განათლებულმა რომანოვებმა ბორჯომში სასწავლებელი იმიტომაც დაარსეს,

მარიამ კიკნაძე დედ-მამასთან ერთად

რომ მათ შვილებს აქ დაწყებითი განათლება მაინც მიეღოთ, ხოლო შემდგომ, როგორც ამას ქალბატონი მარიამი წერს, ისინი თბილისში წაუყვანიათ სწავლის გასაგრძელებლად. მათ განათლებას, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფდნენ მიხეილ და ნიკოლოზ რომანოვები.

ზაფხულობით **წაღვერი** დამსვენებლების რაოდენობით ბორჯომს არ ჩამოუვარდებოდა. შესანიშნავი ჰაერი, წიწვნარის სურნელი, მინერალური წყალი არაჩვეულებრივი დასვენების პირობებს ქმნიდა და ერთგვარ უპირატესობასაც კი ანიჭებდა ბორჯომთან შედარებით. წაღვერის ბუნებრივ ფაქტორებს ისიც ემატებოდა, რომ წაღვერი რომანოვების მიერ დიდ პრივილეგიაში იყო.

წაღვერში XX საუკუნის დასაწყისში სასტუმრო-აგარაკებთან ერთად უკვე იყო ელსადგური (მდ. გუჯარულაზე), რკინიგზის სადგური, სატყეო, თეატრი, კერძო აფთიაქი (ვინმე შლეიფერისა), სავაჭრო დუქანი (ბორჯომელი წამალო ჯანიბახჩევისა), პატარა თონე (რაჭველი არსენასი), აბანო, ბავშვთა სანატორიუმი, ცნობილი სანატორიუმი **„კეჩხობი“** და სხვა.

წაღვერში მომრავლდა აგარაკები. ასეთები იყო: ლიზა მღებრიშვილის დიდი, ლამაზი სახლი, სადაც ზაფხულობით ისვენებდნენ კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და ვიქტორ დოლიძე, რომლებმაც ოპერა ,,ქეთო და კოტე“ სწორედ წაღვერში შეჰქმნეს... პოეტები - იოსებ გრიმაშვილი, პაოლო იაშვილი, მარიჯანი და სხვები... აქ იყო ჭიათურის შავი ქვის მრეწველის, აკაკი მერკვილაძისა და წყლების ცნობილი სპეციალისტის მიტროფანე ლაღიძის, მწერლების: სიმონ ქვარიანის, დარია ახვლედიანის და სხვათა აგარაკები.

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს ჰყავდა შვილი, ირაკლი, როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ის მამას ბევრ მუსიკალურ რჩევას აძლევდა. აშკარაა, რომ ირაკლი დიდებული სმენით იყო დაჯილდოებული, ალბათ, დაეტყო გენები. იგი სმენით უკრავდა ცნობილ მარშს „რუსლან და ლუდმილადან“. იცოდა ქართული, რუსული და რამოდენიმე ევროპული ენა, წერდა მუსიკას და ა.შ. ირაკლი 9 წლის ასაკში გარდაიცვალა. წაღვერში, აგარაკზე ყოფნის დროს, ბავშვს დაგორებულმა მორმა ხელი დაუზიანა, რამაც, თავის მხრივ, დაბადებიდან თანდაყოლილი გულის დაავადების გართულება გამოიწვია. ექიმების მცდელობის მიუხედავად, ირაკლის გადარჩენა ვერ მოხერხდა. მამამ ოპერა ,,აბესალომ და ეთერი“ თავის გარდაცვლილ შვილს მიუძღვნა.

ზაქარია ფალიაშვილს ხანგრძლივი მეგობრობა და სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ვოკალისტ პედაგოგ, პროფესორ ნადეჟდა აბაშიძესთან, (რომელიც დაქორწინებული იყო არქიტექტორ მიხეილ ბუზოღლიზე და მასთან ჰყავდა ორი შვილი: მიხეილი - არქიტექტორი და ალექსი - ინჟინერი, მსახიობ დოდო ჭიჭინაძის ქმარი).

ზაქარიამ ნადეჟდას მიუძღვნა ოპერები „დაისი“ და „ლატავრა“, რომანსები „რისთვის მიყვარხარ“, „ნანა“ (ილია ჭავჭავაძის ლექსზე), პრელუდია და ფუგა ფორტეპიანოსათვის და სხვა.

ნადეჟდა ბუზოღლის და ფალიაშვილს შეეძინათ შვილი, შემდგომში - კომპოზიტორი ოთარ გორდელი.

როგორი ბედნიერი იქნებოდა, ალბათ,



ზაქარია ფალიაშვილი, რომ სცოდნოდა, საქართველოს პირველი სახელმწიფო ჰიმნი რომ სწორედ მის მუსიკაზეა შექმნილი და კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძის მიერაა დამუშავებული.

ჩვენს ქალაქში გვაქვს ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი და მოქანდაკე თენგიზ ღვინიაშვილის სკულპტურა რუსთაველის ქუჩაზე.

კიდევ ერთი საინტერესო პიროვნება მინდა ვახსენო ჩვენს რაიონთან დაკავშირებით. ესაა **ბესარიონ ქებურია,** ჩხორონყუს რაიონიდან. 14 წლის ასაკში ჩხორონყუდან გაჰყვა მწყემსებს ფოთში. იქ ჩასულმა პირველად ნახა მატარებელი, რამაც იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ რკინიგზის მშენებლობაზე დარჩენა გადაწყვიტა.

1898 წელს პეტერბურგში ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და მიიღო რკინიგზის უფროსი ტექნიკოსის წოდება. 1908 წელს საკუთარი ხელით ააგო პლანერი. აფრენის ცდებს ატარებდა საბურთალოს მთებიდან.

ბესარიონი 1910 წლის აგვისტოდან მფრინავი ავიატორი გახდა... დამოუკიდებელი ფრენების შესასრულებლად აუცილებელი იყო საფრენოსნო სკოლის დამთავრება. პარიზის ლუი ბლერიოს საფრენოსნო სკოლაში სწავლას დიდი თანხა (2600 ფრანკი) სჭირდებოდა, რაც მას არ ჰქონდა. მან მაინც, სრულიად მოუმზადებელმა შეასრულა პროგრამა - რვაჯერ შემოუფრინა აეროდრომს და ზუსტად ასი მეტრი დიამეტრის წრეში დაფრინდა.

აღფრთოვანებულმა ბლერიომ, თვითმფრინავების კონსტრუქტორმა და პილოტმა მას ძრავის სათადარიგო ნაწილები აჩუქეს. მეტიც, მან კურსდამთავრებული ქებურია წარუდგინა საფრანგეთის პრეზიდენტ ფალიერს, რომელმაც ბესარიონ ქებურიას გზა დაულოცა. მრავალ საჩვენებელ ფრენაში მონაწილეობის მიღებით მან სახელი გაითქვა.

ბესარიონ ქებურიამ გამოცდის ჩაბარების დროს პირველმა შემოუფრინა ეიფელის კოშკს... 20-იან წლებში, ქებურია დაუკავშირდა ეიფელის ფირმას და რკინის ხიდის კონსტრუქცია იყიდა. ცემსა და ლიკანში რკინის ხიდები, საფრანგეთიდან გამოგზავნილი კონსტრუქციები, სწორედ ბესარიონ ქებურიას დამსახურებით აიგო.

მარიკა გელაშვილი

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი ,,ბორჯომი“ №45,46, 47,48, 49, 50, 51 2024წ. №3 2025 წ.

პოეზიის კუთხე

ჩემო სამშობლო, შენი ჭირიმე!

ჩემო სამშობლო - შენი ჭირიმე,
ვიღამ არ გაქო მგოსნის ენითა,
შენ დაგელოცოს ირგვლივ ცა და მზე,
სულ იდღეგრძელე ქართველ ერითა.
შენი აწმყო და შენი წარსული,
მართლაც ლეგენდა, მართლაც მითია,
ჩემი მამული - ცრემლით ნამული,
ქართველებისთვის უფლის მზითვია.
როგორ გაუძელ ამდენ ნამებას,
სულ გარს გეხვია მტერი ვერაგი,
საუნჯე იყო - შენთვის სამება,
ვერ მოგერია, მიტომ ვერავინ.
ბევრჯერ აღმდგარხარ მკვდარი ფერფლიდან,
დაბადებულხარ, ალბათ, მეორედ,
წყალობა გქონდა მუდამ ღმერთისგან,
ღმერთი ლოცავდა შენს გმირ მეომრებს.
გყავდა დავითი, გყავდა მაია,
გყავდა ვახტანგი და ქეთევანი,
იბადებოდა ბევრი ბაია,
ისევ ყვაოდა ვაზის მტევანი.
დღეს შენი წინსვლა კი გულს მიხარებს,
თავისუფლება - კი ძალზედ გშვენის,
და ამ მინაზე მჯერა იხარებს,
მარად ქართული ჯიში და გენი.
100000-ი მოწამის მოდგმას,
ღმერთი არსდროს არ განუდგება,
ხოლო იუდას ჯიშსა და მოდგმას
მჯერა, განკითხვის დღე დაუდგება.
ვეღარ აგიგდებს აბუჩად მტერი,
რადგან მიიღებს პასუხს შენგანა,
რადგან მამაცი ქართველი ერი,
წილნაყარია - მაღალ ღმერთთანა.

ჯუმალ ბიბილური.

ისეთი დროც დგება...

ცხოვრებაში ისეთი დროც დგება,
როცა გულში სიყვარული კვდება,
ცას შესცქერი, ღია რომ გაქვს თვალი,
უღლად გადევს წუთისოფლის ვალი.
და მიჰყვები გაუკვალავ ბილიკს,
წინ მომხვდურებს უხვად ანდი ღიმილს,
გსურს, თუ არ გსურს, უნდა გაუმკლავდე,
ბევრ განსაცდელს უნდა დაუზავდე.
ცრემლს და ღიმილს მლაშე გემო დასდევს,
საკუთარ თავს ვერ დაუგებ ძახეს,
გაბრწყინებულს დაატარებ სახეს,
თვალს არიდებ შენს ორეულს სარკეს.
ეხ, რას იზავ, გაუძელი გულო,
ზეცას ვალი უნდა დაუბრუნო,
თურმე ქვეყნად ისეთი დროც დგება,
ყველაფერი სულ ერთი რომ ხდება.
ნარსულ დროის მოგონება გხიბლავს,
მაგრამ ისიც ვერ გრძელდება დიდხანს,
მკვეთრი ფერიც ხუნდება და ქრება,
ხელებში კი არაფერი გრჩება.

იზო სარქისიანი.
19.01.2025 წ.

ადვოკატის 47 წლიანი ტრადიცია ბორჯომში გაგრძელდა

მეგობრებმა - 63 წლის ლაურა გიორგაძემ, 64 წლის ლიანა მუმლაძემ, 67 წლის ნაზი ზარიძემ და 63 წლის მარინა ქარცივაძემ 47 წლიანი მეგობრების ტრადიცია არც ამჯერად დაარღვიეს და 2025 წლის ღვთისმშობლობის დღესასწაული ერთად, ამჯერად ბორჯომის ულამაზეს ხეობაში შეხვდნენ.

როგორც ამბობენ, ერთმანეთს სიცოცხლეს ულამაზებენ და ერთმანეთის ყოველდღიურობას სიამოვნებით იზიარებენ. ოთხეული ხშირად ფეისბუქით საუბრობენ. ახლა ბორჯომის ქუჩებში სეირნობენ და შთაბეჭდილებებს, ძველი და ახალი მოგონებებისგან გამოწვეულს მეც მიზიარებენ.

მათ დედაქალაქში დაბრუნებულებს შვილები და შვილიშვილები ელოდებიან, მანამდე კი სატელეფონო ზარებითა და შეტყობინებებით იღებენ ქალბატონების განცდილ ემოციებს.

გეგმავენ, მოინახულონ ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული, რაც შეიძლება მეტი სასულიერო თუ ისტორიული ძეგლები, ერთ დღეს კი ბაკურიანსაც ესტუმრონ და ფოტოები გადაიღონ.

- გვიყვარს ფოტოების გადაღება, გაიპრანჭნენ და მეც უამრავი ფოტო გადავუღე სამახსოვროდ და იმ დღესვე გადავუგზავნე. ერთ ფოტოს კი მათი ნებართვით, ჩვენ სტატიას დავურთავ თან. პარკში სეირნობა, ბორჯომის მინერალური წყლის დაგემოვნება, გოგირდის აბანოებზე სტუმრობა - დღეს ჩვენი რესპონდენტების ყოველდღიურობაა. აღნიშნავენ, რომ გარემო მოწესრიგებული და სუფთაა, თუმცა ამბობენ, რომ მომსახურება და აუზით სარგებლობა ძალიან გაძვირებულა.

- გოგირდის აბანოების აუზებით სარგებლობისათვის 20 ლარის გადახდა გვიწევს და პენსიონერებზე არავითარი შეღავათი არ აქვთ. ჩვენ მხოლოდ პარკში შესვლით ვსარგებლობთ უფასოდ. მართალია, აუზები ბორჯომელებისათვის უფასოა, მაგრამ ჩვენც ხომ ვართ საქართველოს მოქალაქეები და განსხვავებული ფასი უნდა იყოს ჩვენთვისაც, ტურისტი და მე ერთნაირ გადასახადს არ უნდა ვიხდიდეთ, რადგან ტურისტს აქვს მეტი შემოსავალი.

როდესაც ჩვენ ვსტუმრობთ სხვა ქვეყანას, როგორც ტურისტები, ვიხდით უფრო მეტ გადასახადს, ვიდრე ადგილობრივები. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც. პენსიონერებს უნდა ჰქონდეთ სხვა გადასახადი. აუზზე მისულმა, რომ ვუთხარი, პენსიონერი ვარო, არავითარი შეღავათი არ გვაქვსო - მითხრეს. მე ჩამოვედი აქ, რადგან ეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მჭირდებოდა და აუცილებლობას წარმოადგენდა მკურნალობა. 10 დღე რომ ვიყო და 10-ჯერ ვეწვიო გოგირდოვან აუზებს, პენსიონერისთვის ძალიან დიდი თანხა გამოდის გადასახდელად, ამიტომ რეალური ფასები უნდა იყოს საქართველოს მოქალაქეებისათვის, - გვითხრა ქალბატონმა ლაურამ.

- მადლობლები ვართ ოჯახის, რომელიც გვმასპინძლობს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მასპინძელს, რომელიც ბორჯომში გელოდება. ნაზი ლომიძემ შეღავათიან ფასებში დაგვითმო საცხოვრებელი ფართი, კომფორტული და მყუდრო ბინა, მადლობა მას ასეთი გულთბილი დახვედრისათვის, - აღნიშნა საუბრისას ლიანა მუმლაძემ.

მეგობრებმა უდიდესი მადლიერება გამოხატეს ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის თითოეული თანამშრომელის მიმართ, რომელებისგანაც ყურადღებასა და პატივისცემას მუდმივად გრძნობენ.

იზა იანვარაშვილი

პირუტყვის მეპატრონეთა საყურადღებოდ!

მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ადგილებში, მომრავლდნენ მსხვილფეხა ცხოველები, რომლებიც ანადგურებენ მწვანე ნარგავებს და აბინძურებენ სკვერებს. ეს ყოველივე უარყოფით გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის იერსახეზე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, პარკებში, სკვერებში და ა.შ. მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნა, ქუჩებში ხეტიალი აკრძალულია. მეპატრონეები დაჯარიმდებიან კანონით განსაზღვრული წესით.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com
კორექტორი: ნანა კევლიშვილი
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

შეხვედრა ახალგაზრდა მწერალთან

ამას წინათ ბორჯომის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა ახალგაზრდა მწერალ **ნიკოლოზ ლორიასთან** შეხვედრა და მისი წიგნის **„სულების საჯდური“**-ს განხილვა. წიგნის ავტორი გვესაუბრა წიგნის დაწერის მიზეზსა და ღმერთის ძალაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე.

საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა **ნარა ამანათაშვილმა** ავტორს მიულოცა წიგნის გამოცემა და უსურვა მწერლურ ასპარეზზე წარმატებები.

წიგნის განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები: ლიზი ადვაძე, მარიამ ნოზაძე, მერი გეგეშიძე, ელენე მელიქიძე, მარიამ მაისურაძე, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს წიგნის ღირებულებაზე. აზრიანი და ყოვლისმომცველი იყო მათი გამოსვლა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეები გმობენ ნარკოტიკს, ცუდ საქციელს, აღმერთებენ მადლს და სიკეთეს.

სიტყვით გამოვიდა წიგნის ავტორის მეუღლე, **მარიამ კოპალეიშვილი**, რომელმაც ყურადღება გაამახვილა წიგნის ავტორის დიდ შრომისმოყვარეობაზე და პასუხისმგებლობაზე.

ღონისძიების კოორდინატორმა, ქალბატონმა **ნანული სალაღაიამ**, წაიკითხა ამონარიდები წიგნიდან, სადაც წინა პლანზე ღმერთის სიყვარული და ძალა აქვს წარმოდგენილი და აღნიშნა, რომ ხშირად იმეორებს ცხოვრებაში ფრაზას წიგნიდან „სიკეთის ნაკლულობა უსიყვარულობამ იცის“.

შეხვედრაზე წიგნის ავტორის დედამ, **ნანა გაიხარაშვილმა**, წაიკითხა ნიკას ლექსი, რომელშიც დიდი სიყვარული იყო გამოხატული დედის მიმართ.

თბილი და სასიამოვნო დახვედრისათვის ნიკოლოზ ლორიამ მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და დამსწრე საზოგადოებას.

ჭადრაკი

თეას წარმატებული დეკემბერი

ბორჯომის №3 საჯარო სკოლის VI კლასის მოსწავლისათვის და ბორჯომის სასპორტო სკოლის წარმატებული მოჭადრაკისათვის, 11 წლის **თეა რუსიჯაშვილისთვის** საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა გასული წლის დეკემბერში ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობა.

თბილისის ჩემპიონმა საქართველოს ქალთა პირველ ლიგაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც 8-17 დეკემბერს თბილისში გაიმართა. აქ ასაკი შეუზღუდავი იყო და პირველი-მეორე ადგილზე გასულები საქართველოს ქალთა უმაღლეს ლიგაში ითამაშებდნენ. ბევრი სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ ძლიერ ტურნირში თეას მონაწილეობის გამო და ფიქრობდა, შესაძლოა თეას ერთი პარტიაც ვერ მოეგო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. თეამ ხუთი პარტია მოიგო და ოთხი წააგო. ქულათა ამ დადებითი ბალანსით მან თავისი სარეიტინგო ქულები 40 ერთეულით გაამდიდრა.

19 დეკემბერს თეა ე.წ. „ვარსკვლავთ ტურნირში“ (10 - ხუთწუთიან პარტიებშიც) სათამაშოდ მიიწვიეს. აქაც კარგად ითამაშა და მეორე ადგილზე გავიდა.

თეამ „გაბედა“ და 20-27 დეკემბერს გამართულ თბილისის ღია პირველობაზე ახლა უკვე უფროსი ასაკის და 15-16 წლის გოგონებთან ჩაერთო ბრძოლაში. ხუთი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი პარტია წააგო. 5,5 ქულით იგი მეორე საპრიზო ადგილს დაეუფლა.

თეას ახლა 1710 სარეიტინგო ქულა აქვს, რაც ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია თანატოლებში.

უშანგი ჯანგირაშვილი,
მწვრთნელი.

ხანძარი ბორჯომში

22 იანვარს, 66 წლის გენადი პედანიანი, გვიან საღამოს, 89 წლის დედასთან ერთად, რომელსაც გადაადგილება უჭირს, ერეკლეს ქუჩის 9 ნომერში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში იმყოფებოდა, რა დროსაც გარედან ხმაური შემოესმა. გარეთ გასულმა კი დაინახა, რომ მათი სახლის ზედა სართულს (ხის სახურავს) ცეცხლი ეკიდა. დაუკავშირდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს და მათ გამოძახებიდან დროული რეაგირება მოახდინეს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სახლის ზედა ნაწილი ბორჯომში არსებულ სახლებს შორის ერთ-ერთი უძველესია (100 წელზე მეტი ხნისაა), ფაქტიურად, სულ დაიწვა. ასევე დამწვარია აღნიშნული სახლის გვერდით არსებული სახლის შიდა სივრცე, რომელიც მეპატრონისთვის აგარაკის ფუნქციას ასრულებს და ისინი ხანძრის დროს შენობაში არ იმყოფებოდნენ.

როგორც სახლის მეპატრონემ, გენადი პედანიანმა გაზეთ „ბორჯომთან“ საუბრისას აღნიშნა, ხანძრიდან მეორე დღეს, სახლს ექსპერტიზა ექსპერტ-კრიმინალისტებმა ჩაუტარეს, რომლის შედეგებიც უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი. ბატონმა გენადიმ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დიდი ზარალი ნახეს, უფლის მადლობელია, რომ მოხუცი დედა გადაარჩინა.

გაზეთი „ბორჯომი“ მწუხარებას გამოთქვამს აღნიშნული ფაქტის მიმართ და ჯანმრთელობას უსურვებს პედანიანების ოჯახს. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სამსახურები დაზარალებულებს დახმარებას აღმოუჩენენ.

მოამზადა **ნატო მელიქიძემ**

დამთავრდა ახალი ლიფტების დამონტაჟება

ბორჯომში, მესხეთის ქუჩის №29-ში, თორის ქუჩის №116, 118 და120 -ში მდებარე მაღალსართულიანი კორპუსების სადარბაზოებში ახალი ლიფტების მოწყობა დასრულდა.

პროექტის განხორციელების შემდგომ მაღალ სართულზე უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემა 200-მდე ოჯახს აღარ ექნება.

ახალი ლიფტების სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 401 316 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო.

ინფრასტრუქტურული პროექტი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

წმინდა ნინოს N9 ქუჩის მაცხოვრებლები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საოცრად კეთილშობილი, უდიდესი ავტორიტეტის მქონე პიროვნება,

იზო კაპანაძე.

ადამიანი, რომელიც 60 წლის მანძილზე ბორჯომის ცენტრალური აფთიაქის თანამშრომელი გახლდათ. ქალბატონი იზო ნამდვილად დააკლდება მეზობლებს, მეგობრებსა და ახლობლებს.